ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

გაეროს ბავშვთა ფონდი გეგმავს სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ადგილობრივი მოწყვლადი და უკრაინელი ბავშვებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად. დახმარება ფოკუსირებული იქნება განსაკუთრებით მოწყვლად ბავშვებზე. თითოეული ბავშვი მიიღებს 235 ლარის ოდენობის ერთჯერად დახმარებას. ზამთრის სეზონზე ოჯახების გაზრდილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ფულადი მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს ნოემბრის ბოლომდე. აღნიშნული ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიზნად ისახავს ქუთაისში მცხოვრები 989 მოწყვლადი ბავშვის მხარდაჭერას. გაეროს ბავშვთა ფონდი თანახმაა გამოყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად 232 415 ლარის ოდენობით გრანტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, გაეროს ბავშვთა ფონდიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოწყვლადი და უკრაინელი ბავშვებისთვის ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მიზნით, ერთჯერადი ფულადი დახმარების პროექტის ფარგლებში მიიღოს 232 415 (ორას ოცდათორმეტი ათას ოთხას თხუთმეტი) ლარის ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერის მოვალეობის შემსრულებელი